ხელშეკრულება # 80/3

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 09 ნოემბერი 2016

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი" (შემდგომში – „შემსრულებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, თემურ კოხოძის სახით, და მეორეს მხრივ, ააიპ თვითმმართველი თემის „მცხეთის მუნიციპალიტეტის" კეთილმოწყობის სამსახური დირექტორის გიორგი თალაშვილის სახით (შემდგომში – „დამკვეთი"), სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, „შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად ანტიფრიზის DRIVER NF (BLUE) 200L (CPV კლასიფიკატორის კოდი 24951311) – 70ლ - 490ლ. და გამოხდილი წყალის 1L (CPV კლასიფიკატორის კოდი 24316000) – 70ც - 49ლ. მიწოდება, ხოლო „დამკვეთი" კისრულობს ვალდებულებას აანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება სრულად.

1.2 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 12 ნოემბრამდე.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 539.00 (ხუთას ოცდაცხრამეტი ლარი 00 თეთრი) ლარს.

2.2. მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეიცავს „შემსრულებლის" ყველა ხარჯს, მათ შორის საქონლის ღირებულებას, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, სახდელს, მოსაკრებელს, ბაჟს, მათ შორის დღგ-ს.

3. ანგარიშსწორება

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ყოველი მომსახურების გაწევიდან ან საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 15(თხუთმეტი) კალენდარული დღისა, „შემსრულებლის" მიერ მიწოდებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

4.1. „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს „დამკვეთისათვის"საქონლის მიწოდება 2016 წლის 12 ნოემბრამდე.

4.2.„დამკვეთი"იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „შემსრულებელს" მიწოდებული საქონლის სრული ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების მე-3-ე მუხლით დადგენილი პირობებით და ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1.საქონლის მიღება დასტურდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, ასევე, „დამკვეთის" მოთხოვნის საფუძველზე, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც ადასტურებს საქონლის მიწოდების განხორციელებას.

6. ხარისხი

6.1.საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა და მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1.ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

7.2.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3.თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად გამოწვეული ზიანი.

8. ფორს – მაჟორი

ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2.ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3.ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი გახდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს 10 კალენდარული დღის ვადაში, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. სადავო საკითხების გადაწყვეტა

9.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების შეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

9.2.თუ, ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

10. სხვა პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 15 დეკემბრამდე.

10.2. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარესთან.

11. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსრულებელი:	დამკვეთი:
შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი"	აიპ თვითმმართველი თემის „მცხეთის
საიდენტიფიკაციო კოდი:202177205	მუნიციპალიტეტის" კეთილმოწყობის სამსახური
ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ. N5	საიდენტიფიკაციო კოდი: 436036255
სს. „თიბისი ბანკი"	ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქ. N73
ბანკის კოდი: TBCBGE22	
ა/ა GE80TB0660000024467853	
თემურ კობოძე	გიორგი თალაშვილი
გენერალური დირექტორი	დირექტორი

ქ.მცხეთა

09 ნოემბერი 2016წ.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, რომ ააიპ თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურსა და შპს თეგეტა მოტორსს შორის 2016 წლის 09 ნოემბერს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული N80 ხელშეკრულებით ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

43603625

თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორი: გ.თალაქვაძე

თვითმმართველ თემის მცხეთის მუნიციპალიტეტის
კეთილმოწყობის სამსახურის საწყობის გამგე: მ.კახობერაშვილი